№ 34 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. პარასკევი, 13 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი მღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ეგლაზიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, თებერვლის 13, პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მ. ს. დავიდოვას გასტროლი **ვერტერი.** მონაწილეობენ: დავიდოვა, ორლოვა, ზალიპსკი, თარხან-მოურავი, კურბატოვი, დემიანენკო. შაბათს, თებერვლის 14-ს ოპერა მუშებისთვის „აბესალომი და ეთერი". კვირას, თებერვლის 15 საღამოს დავით კლდიაშვილის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეი. ორშაბათს, თებერვ-16 აგასოვას ბენეფისი „ქეთო და კოტე".

საქ. სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ ამა თებერვლის 14-ს, დილის 11 საათზედ, საზოგადოების ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 8) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გასაყიდათ დანიშნულია შემდეგი ავტომობილები და მათი ნაწილები: მსუბუქი ავტომობილი „მერსედეს-ბენცი" № 2520 92.250 მან. „დიქსი" 65.000 მან. „ადლერი" № 1102 113.250 მან. „შევროლეტი" № 1731 93.000 მან. „რეჯო" № 74622 ღია 113.700 მან. „ოვერლანდი" 112.500 მან. კალოთი „კუზოვი" 18.000 მან. საბარგო ავტომობილები „ლია-ბურიო" № 329 27.000 მან. „რენო" № 8385 225.000 მან. რადოთ „სტუდებეკერი" 150.000 მან. ასი სიჩქარის კოლოფით უმოტოროთ, უკალათოთ 18.000 მან.

ვაჭრობა დაიწყება ზემოაღნიშნულ ფასებიდან. ამ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ კავკასიის ბანკში საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მიმდინარე ანგარიშზე № 7929—25% იმ საქონლის ღირებულებისა, რომელიც მათ სურთ შეიძინონ და ამ თანხის ბანკში შეტანის დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარადგინონ საზოგადოებაში საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. ამ პირობის შეუსრულებლობა უკარგავს მსურველს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლებას. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა № 8.) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

184 2-2 გამგეობა

ჯანმრთელობის დამცველი კომისარიატი

აფხაზეთში იწვევს ექიმებს აფხაზეთის საერობო საავადმყოფოებისთვის, სახელდობრ სამურზაყანოს მაზრაში: გუდავაში, საბერიოში, ბარგებში და ოქუმში. კოდორის მაზრაში, მოქვაში და კვიტაულში, თვიური ჯამაგირი 6.000 მან., სამგზავრო 1000 მ. ბინა გათბობა და განათება. ვისაც სურს დაიჭიროს რომელიმე ზემოთ აღნიშნული ადგილი, უნდა აცნობოს შემდეგი მისამართით. ქ. სოხუმი, აფხაზეთის მედიკო-სანიტარული განყოფილება. 165 3—3

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებისთვის საჭიროა გამოცდილი

ბუღალტრები და მათი თანაშემწენი.

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე 20 თებერვლიდან გორის საოსტატო სემინარიის შენობაში მოწყობილი იქნება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ კურსები. კურსები გაგრძელდება 20 თებერვლიდან 1 ივლისამდე კურსებზე მიღებულ იქნებიან არა ნაკლებ 4 კლასის განათლებით. კურსისტებს ექნებათ მუქთი ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნები სამაზროერობის სახელზე. 201 3—1

1920 წ. 1 მარტიდან ქალაქ ზუგდიდში იხსნება 6 თვიანი უფლებიანი

სამასწავლებლო კურსები

კურსებზე მიიღებიან ოთხი კლასის კურს დამთავრებულნი განურჩევლად სქესისა. თხოვნები საბუთებით მიიღება სამაზრო ერობაში 25 თებერვლამდი. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ერობის სახალხო განათლების განყოფილებაში. 202 1—1

ნაფიც ვექილთა საბჭო

ამით აცნობებს ნაფიც ვექილთა თანაშემწეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან 10 მარტამდის შემოიტანონ განცხადებანი საბჭოში ნაფიც ვექილის თანაშემწეთ ჩარიცხვის შესახებ სათანადო საბუთებით. 203

ოფიციალური განყოფილება.

წესდება

საქართველოს სახელმწიფო ბანკისა.

ბანკის საბჭო.

99. ბანკის საბჭოში თორმეტი წევრია: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და შვიდი წევრი, რომელთაც ჰნიშნავს პარლამენტი; ამათ გარდა, საბჭოს წევრად თანამდებობით ითვლებიან ორი წარმომადგენელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი და მმართველი სახელმწიფო ბანკისა.

შენიშვნა: 1. ბანკის გამგეობის წევრნი ესწრებიან საბჭოს კრებას სათათბირო ხმით, ხოლო როცა ისეთი საქმეა გადასაწყვეტი, რომლის გადაწყვეტაც ამ წესდების ძალით საბჭოსა და გამგეობის შეერთებულს საკრებულოს ექვემდებარება, გამგეობის წევრთ გადამწყვეტი ხმა ეძლევათ.

შენიშვნა: 2. საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, ბანკის მმართველთან შეთანხმებით, მოიწვიოს ხოლმე საბჭოს კრებაზედ მცოდნე პირნი სათათბირო ხმის უფლებით.

შენიშვნა: 3. საბჭოს წევრნი ინიშნებიან სამის წლის ვადით, მაგრამ შედგენილობა უნდა ახლდებოდეს კენჭის ყრით ამ რიგად: პირველ წელს ანებებს თავს სამი წევრი, მეორე წელს—თავმჯდომარის ამხანაგი და ორი წევრი და მესამე წელს—თავმჯდომარე და ორი წევრი.

100. საბჭოს კრება ინიშნება თვეში ერთხელ, არა ნაკლებ, ან პირდაპირ საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ანუ მის მიერვე საბჭოს სამის წევრის მოთხოვნილებით და აგრეთვე ბანკის მმართველის მოთხოვნილებითაც. საბჭოს გარდაწყვეტილებათა კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება საბჭოს თავმჯდომარისა და ბანკის მმართველისა (ანუ მათ მოადგილეთა) და საბჭოს არა ნაკლებ ხუთის წევრისა. საქმენი საბჭოში სწყდება მარტივის ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა.

შენიშვნა: თუ გადასაწყვეტია საქმე უძრავ ქონების საკუთრებად შეძენისა ან გაყიდვისა, ვალის გადახდის, ვადის განგრძობისა, ანუ მის წვრილ წვრილად გადახდისა, გირაოს იძულებით გაყიდვის გადადებისა და უიმედო ვალების ზარალში ჩამოწერისა, ამისთვის საჭიროა კანონიერად შემდგარს კრებაზედ ორის მესამედის ხმის უმეტესობა საბჭოს ყველა დამსწრე წევრისა.

101. ბანკის საბჭოს მოვალეობაა საერთო ყურის გდება ჰქონდეს ბანკში საქმეთა წარმოებისათვის წესდების თანახმად, აგრეთვე შეამოწმებდეს ბანკის კასებს, მის საფასე განძეულთ და თვალ-ყური ეჭიროს საქმის წარმოებასა და ანგარიშების მიმდინარეობაზედ.

კერძოდ ბანკის საბჭოს ექვემდებარება:

ა) ყოველი ის საქმე, რომლის გამოც მისი დადგენილება პარლამენტს წარედგინება დასამტკიცებლად:

1) მოსაზრებანი ბანკის წესდების შეცვლისა და დამატებისათვის;

2) განხილვა წლიურის ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვისა;

3) განსაზღვრა ბანკის გამგეობის წევრთა რაოდენობისა იმ შემთხვევაში, თუ იმაზედ მეტი რიცხვია საჭირო, რაც მოხსენებულია მე 90 §-ში.

ბ) ის საქმენი, რომელთა საბოლოოდ გადაწყვეტის უფლება აქვს საბჭოს:

1) მოსაზრებანი იმ საკუთარ სახლების აშენებისა, შეძენისა და გაყიდვის შესახებ, რომელიც ბინად აქვს ბანკის დაწესებულებას;

2) დაარსება ბანკის განყოფილებისა;

3) განსაზღვრა რაოდენობისა და არჩევა, გამგეობასთან ერთად, გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტების წევრთა;

4) განსაზღვრა სარგებლისა და საკომისიო სასყიდლის რაოდენობისა ბანკის ოპერაციებისათვის:

5) ნაწილ-ნაწილ გადახდევინება ვალისა და მის ვადის გადადება, როცა თამასუქი პროტესტ-მოხდენილია ან პროტესტ მოუხდენელი, რაოდენიც უნდა იყოს ვალი, და გადაწყვეტა გირაოს იძულებით გაყიდვის ვადის გადადებისა;

6) ზარალად ჩამოწერა უიმედო ვალებისა;

7) გადაწყვეტა საბლანკო კრედიტებისა (§ 81);

8) გადაწყვეტა იმ საქმისა, რომელიც უთანხმოებას იწვევს გამგეობის წევრთა შორის ანუ გამგეობასა და გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტს შორის;

9) დამტკიცება იმ საქონლისა და ვალდებულებათა ნუსხისა, რომელთა დაგირავებაც შეიძლება ბანკში, და იმ სავაჭრო სამრეწველო წარმოებათა სიისა, რომელთა თამასუქი შესაძლოა განაღდებულ იქნეს ექვს თვეზე მეტის ვადით;

10) აღნიშვნა იმ ფასიან ქაღალდებისა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს სესხის უზრუნველ-საყოფად, და ამ ქაღალდების შეფასება;

11) განმარტება იმ წესისა, თუ რა წესით უნდა იქნეს მოვლილი ბანკზე დარჩენილი მამულები, ვიდრე გაიყიდებოდეს;

12) დამტკიცება თანამდებობაზედ და დათხოვნა, გამგეობის მიერ წარდგენით, განყოფილებათა მმართველებისა, მთავარ კასირისა, მთავარ ბუჰალტერისა და ბანკის ინსპექტორისა;

13) დამტკიცება განყოფილებათა მოქმედების რაიონებისა და ბანკის სააგენტოების ბადე-ქსელისა;

14) ყოველი საქმე, რომელსაც ბანკის მმართველი საჭიროდ დაინახავს საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

102. საბჭოს წევრს ნება აქვს, საბჭოს დავალებით, დაესწროს ხოლმე ბანკის გამგეობის კრებას.

103. საბჭოს წევრი მიიღებს განსაზღვრულ ჯილდოს იმის მიხედვით, თუ რამდენს კრებას დაესწრება, თავმჯდომარეს-კი განსაზღვრული ჯამაგირი დაენიშნება თვიურად.

ბანკის დაწესებულებანი.

104. ბანკის დაწესებულებანია: უმთავრესი კანტორა, განყოფილებანი და ბანკის სააგენტონი.

105. ტფილისის კანტორა ბანკისა უმთავრესი დაწესებულებაა მისი; იქ არის მოთავსებული უმთავრესი მართველობა ბანკისა. ყოველი განყოფილება და სააგენტო ბანკის ადგილობრივი დაწესებულებაა. უმთავრეს კანტორაში, საბანკო განყოფილების გარდა, რომელიც უძღვება ბანკის ყოველ წესდებით ნება-დართულს ოპერაციას, არსებობს შემდეგი განყოფილებანი: საკრედიტო ბილეთებისა, ადგილობრივ დაწესებულებათა, მთავარ ბუხჰალტერია და კანცელარია.

106. საკრედიტო ბილეთების განყოფილებას ვალად ადევს დამზადება საკრედიტო ბილეთებისა და მათი გამოცემა, გაცვლა ძველებისა ახლებზედ და მოსპობა ხმარებისათვის აღკვეთილ ბილეთებისა, აგრეთვე დაცვა საკრედიტო ბილეთების ოქროს დასახურდავებელ თანხისა და ლითონის ფონდისა.

107. ადგილობრივ დაწესებულებათა განყოფილებას დაევალება ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა ოპერაციების საქმეთა წარმოება, აგრეთვე შედგენა იმათთვის საოპერაციო საქმეთა წარმოების წესრიგისა, ყურისგდება მათის მოქმედებისა ანგარიშების მიხედვით და რევიზია ადგილობრივ დაწესებულებათა;

108. მთავარ ბუჰალტერიაში თავ-მოყრილია ბანკის საერთო ანგარიშთ-წარმოება, აგრეთვე დროგამოშვებითი ბალანსებისა და წლიური ანგარიშების შედგენა.

109. კანცელარიის მოვალეობაა შედგენა ბანკის ყოველ-წლიურ ხარჯთ აღრიცხვისა და გაძღოლა ხარჯთ-აღრიცხვის ნება დართულ ხარჯისა, ყურის გდება მოხელეთა შედგენილობისა, სამნეო და საადმშენებლო ნაწილისა, მიწერ-მოწერა და საქმეთ წარმოება ბანკის უმთავრეს კანტორის საერთო საქმეთათვის იმდენად, რამდენადაც ეს მოვალეობა სხვა უმთავრეს კანტორასთან არსებულ განყოფილებათ არ ექნებათ დავალებული.

110. ბანკის უმთავრეს კანტორასთან არსებობს თანამდებობა ბანკის იურისკონსულტისა: მისი მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს ვადა გადაცილებულ ბანკის ვალების გადახდევინებას და ბანკზე დარჩენილ გირაოებს, აგრეთვე შეადგინოს ხელ შეკრულებანი და სხვა სამოქალაქო საბუთის ქაღალდები და სასამართლოში ბანკის საქმეები აწარმოოს.

111. ბანკის განყოფილება არსდება რესპუბლიკის უფრო დიდ სავაჭრო-სამრეწველო ადგილებში. თითოეულს განყოფილებას ექვემდებარება მართვა-გამგეობისა და ანგარიშების ჩაბარების მხრივ, საბჭოს ცალკე განაწილებით უწყებული რიცხვი ბანკის აგენტებისა, რომელნიც შეადგენენ განყოფილების რაიონს.

112. განყობილებათა და სააგენტოთა დაარსება და მათი გაუქმება ამა თუ იმ რაიონში უნდა გადასწყვიტოს ბანკის საბჭომ გამგეობის მიერ წარდგენით.

113. თითოეულ ადგილობრივ დაწესებულების (განყოფილებისა ანუ სააგენტოს) ოპერაციათა ფარგალი განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ ამა წესდების მიხედვით და იმ ადგილის საჭიროებათა და ეკონომიურ ვითარების შესაფერად, რომელზედაც ვრცელდება დაწესებულების მოქმედება.

114. განყოფილების გამგებლობა ევალება განყოფილების მმართველს, რომელსაც ამტკიცებს თანამდებობაზედ ბანკის საბჭო გამგეობის მიერ წარდგენით.

შენიშვნა: დიდს განყოფილებაში შესაძლოა მმართველს დამხმარედ დაენიშნოს ამხანაგი იმ წესით, რომელიცა მავე მუხლშია აღნიშნული.

115. განყოფილების მმართველს ეკუთვნის განყოფილების აღმასრულებელი და საგანგებო უფლება, განსაზღვრული ამა წესდებითა და ბანკის გამგეობის ამა თუ იმ განყოფილებით, კერძოდ დაევალება: 1) უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიოს განყოფილების ყოველ ოპერაციას და ყური უგდოს საქმეთა-წარმოებასა და ანგარიშების მსვლელობას, წესდებისა და გამგეობის განკარგულებათა აღსრულებას, აგრეთვე კასისა და საფასე განძეულთა დაცვა-შენახვას; 2) აწარმოოს მიწერ-მოწერა განყოფილების სახელითა და დასდოს ხელ-შეკრულობანი და პირობანი წესდებით ნება-დართულ ფარგლებში გამგეობის განკარგულებათა თანახმად; 3) გაამწესოს ის მოხელენი განყო-

ფილებაში და მის ხელ-ქვეით სააგენტოებში, რომელთა მოწვევა მის უფლებას შეადგენს და წარადგინოს ბანკის გამგეობისთვის უმაღლეს თანამდებობაზედ დასანიშნავი მოხელენი; 4) დანიშნოს ანუ აწარმოოს ადგილობრივ საერთო და კერძო რეგიზიები განყოფილების და მის ხელ-ქვეით სააგენტოებისა;

5) გაჭზავნოს სამსახურის საქმის გამო, საცა საჭირო იქნება, მოხელენი განყოფილებისა და თავის ხელ-ქვეით სააგენტოებისა და დაავალოს ამათ დროებითის მოვალეობის აღსრულება. 6) წარუდგინოს გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვა და წლიური ანგარიში განყოფილების რაიონისა, აგრეთვე დრო-გამოშვებითი ანგარიშები რაიონის დაწესებულებათა ოპერაციებისა; 7) ყური უგდოს ბანკზედ დარჩენილ მამულებს; 8) დაიცვას ინტერესები ბანკისა სასამართლოს წინაშე რაიონის საზღვრებში და, თუ საჭიროება მოითხოვს, ცალკეკაცს მიანდოს ეს საქმე, აგრეთვე ყური უგდოს იმ საქმეების წარმოებას, რომლითაც ბანკის სასარგებლო ვალები უნდა გადახდევინებულ იქნეს; 9) განაგოს, გამგეობის დავალებით, სახელმწიფო ხაზინის ოპერაციები, აგრეთვე განაგოს და აასრულოს ყოველი ის ოპერაცია და მოვალეობა, რომელიც განსაზღვრულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

116. ყოველი ქაღალდი, რომელიც განყოფილებიდან გავა, ხელ მოწერილი უნდა იყოს მმართველის (ანუ მმართველის ამხანაგისა) და ბუხგალტერის მიერ.

117. ბანკის სააგენტოში ირიცხებიან: სააგენტოს მმართველი (აგენტი), კასირი და, თუ საჭიროება მოითხოვს, ბუხალტერი და საქმის მწარმოებელი.

შენიშვნა: აგენტის მოვალეობა შესაძლოა დაეკისროს ერთ-ერთ ადგილობრივ თანამდებობის კაცს სააგენტოების მოქმედების რაიონში სათანადო უფროსთან შეთანხმებით.

118. სააგენტოებს დაევალება: იმ უმარტივეს საბანკო ოპერაციების წარმოება, რომელსაც განსაზღვრავს ბანკის საბჭო, აგრეთვე ბანკის უმთავრეს კონტორისა და განყოფილებათა მინდობილებათა ასრულება ფულის გაცემისა და მიღების შესახებ იმ განსაზღვრულ რაოდენობამდე, რომელიც საბჭოს დადგენილებით აღნიშნულ იქნება, შეკრება ბანკის მმართველობისათვის საჭირო ცნობათა იმ ადგილის ეკონომიურ ვითარებისა, სადაც სააგენტოა, და ცნობების მიწოდება მსესხებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. იმათვე შეიძლება მიენდოს ყურის გდება ბანკზედ დარჩენილ მამულებისა.

განმანაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტები.

119. განმანაღდებელ გამსესხებელი კომიტეტები არსდება ბანკის უმთავრეს კონტორასა და განყოფილებასთან იმ აზრით, რომ განსაზღვროს, ვის რამდენი კრედიტი მიეცეს, კერძო კაცია, ფირმაა თუ დაწესებულება, და შეაფასოს, რამდენად კეთილ-საიმედოა გასანაღდებლად წარდგენილი თამასუქი, გირაოდ შემოსატანი ქონება თუ საქონელი და საფასურ-განძეული.

120. საქმე კრედიტის გადაწყვეტისა, მის მომატებისა, თამასუქის გასანაღდებლად მიღებისა და საქონლის დაგირავებით სესხის გაცემისა უეჭველად უნდა განხილულ იქნეს განმანაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტის მიერ.

121. განმანაღდებელ გამსესხებელი კომიტეტი შესდგება: უმთავრეს კონტორაში მმართველისა ანუ, გამგეობის დავალებით, გამგეობის ერთ ერთ წევრისაგან, ხოლო განყოფილებაში—მმართველის ანუ მმართველის ამხანაგის თავმჯდომარეობით გამგეობის იმ წევრისაგან, რომელსაც აბარია განაღდება გასესხების ოპერაციები (განყოფილებაში მთავარ ბუხჰალტრისა), და გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ კრებაზედ არჩეულთაგან: ვაჭრობა-მრეწველობაში ცნობილ კაცთა შორის, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელთა და ადგილობრივ მცოდნე მეურნეთა და მთავარ საკოოპერაციო დაწესებულებათა წარმომადგენელთა შორის. ამათ გარდა, თავმჯდომარეს შეუძლიან მიიწვიოს სათათბირო ხმის უფლებით ვაჭრობის და მრეწველობის ამა თუ იმ დარგში მცოდნე კაცნი.

შენიშვნა: განყოფილებათა მმართველმა განმანაღდებელ გამსესხებელ კომიტეტის საწევრო კანდიდატების სია განყოფილების მიერ არჩევის შემდეგ უნდა წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად.

122. ბანკის გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ კრებაზედ უნდა დაწესდეს, რამდენი წევრი უნდა იყოს თითოეულ განმანაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტში. კომიტეტის წევრნი რიგ-რიგად ესწრებიან კომიტეტის სხდომას დადგენილ წესისამებრ. ყოველ-წლივ ნახევარი იმათგანი თავს ანებებს კომიტეტს, ხოლო პირველ წელს გასვლის ჯერი უნდა გადაწყდეს წილის ყრით. ვინც ჯერით თავი დაანებებს წევრობას, ის შეიძლება კვლავ იქნეს არჩეული.

123. კომიტეტის წევრნი ვალდებულნი არიან ბანკის საქმეთა საიდუმლო დაიცვან.

124. რჩევისა და დახმარებისათვის კომიტეტის წევრნი მიიღებენ განსაზღვრულს გასამჯელოს იმის მიხედვით, თუ რამდენს სხდომას დაესწრებიან.

125. კომიტეტში საქმეები გადაწყდება ხმის მარტივის უმეტესობით; თუ ხმათა რიცხვი გაიყო ორ თანასწორ ნაწილად, თავმჯდომარის ხმა სძლევს. თუ კომიტეტის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ თამასუქის გასანაღდებლად მიღებისათვის ანუ კრედიტის რაოდენობის მინიჭებისათვის ბანკისა ან სათანადო განყოფილების მმართველი არ დეთანხმა, მას შეუძლიან შეაყენოს ასეთი გადაწყვეტილება და ამ საგნის თაობაზედ მოხსენება წარუდგინოს საბჭოს. განყოფილების მმართველმა ასეთი მოხსენება გამგეობას უნდა წარუდგინოს. რასაც საბჭო გადასწყვეტს პირველ შემთხვევაში, ანუ გამგეობა მეორე შემთხვევაში, ის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოოდ.

126. იმ დღეებში, როცა კომიტეტის სხდომა არ არის დანიშნული, გამგეობას (ხოლო განყოფილებაში მმართველს ბუჰალტერთან ერთად) შეუძლიან საკუთარის უფლებით მიიღოს თამასუქი გასანაღდებლად გადაწყვეტილ კრედიტების ფარგლებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველსავე კრებაზედ წარუდგინოს ის თამასუქი განმანაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტს. შენიშვნანი კომიტეტისა ასეთ თამასუქის შესახებ გამგეობამ (განყოფილებაში მმართველმა) უნდა მიიღოს სახელმძღვანელოდ შემდეგისათვის.

127. სია კერძო კაცთა, ფირმებისა და დაწესებულებათა, რომელთაც კრედიტი აქვთ გადაწყვეტილი, გადათვალიერებულ უნდა იქნეს გამნაღდებელ გამსესხებელ კომიტეტის მიერ ყოველ სამს თვეში ერთხელ.

ბანკის მოხელენი, მათი უფლება და მოვალეობა.

128. ბანკის მოხელეთა თანამდებობა და ჯამაგირი, მათთვის მიკუთვნებული, ცალკე ნუსხით განისაზღვრება.

129. ბანკის მოხელეთა რიცხვი თითოეულ დაწესებულებისათვის, აგრეთვე განყოფილებათათვის იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც ამ წესდებაშია მოხსენებული, უნდა განსაზღვროს ბანკის გამგეობამ საბჭოსთან ერთად ბანკის ოპერაციების განვითარების კვალობაზედ.

130. ბანკის გამგეობის უფლებას შეადგენს ბანკის მოხელეთა გამწესება და დათხოვნა იმათ გარდა, რომელთა დანიშვნის წესი უკვე მოხსენებულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

შენიშვნა: გამგეობას შეუძლია ბანკის ადგილობრივ დაწესებულებაში სათანადო მმართველს მიანდოს საქმე მოხელეთა დანიშვნისა იმ ცალკე ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც თვით გაუგზავნის მმართველს.

131. იმ პენსიებისა და შემწეობის გარდა, რომელიც შესაძლოა დაენიშნოს მოხელეს სახელმწიფო ხაზინიდან მის უზრუნველ საყოფელად სამსახურის თავ-დანებების შემდეგ საზოგადოდ წესისამებრ და იმ გვარადვე როგორც რესპუბლიკის სხვა მოხელეებს ენიშნებათ, ბანკს ნება აქვს ამავე საგნისათვის დააარსოს საპენსიო კასა. კასის თანხა შესდგება თვით მოხელეთა ჯამაგირის გამორიცხვიდან და იმ ფულიდან, რომელიც ყოველ წლიურად ხარჯთ-აღრიცხვით გადიდება კასის დებულების თანახმად.

132. ყველა მოხელე ბანკისა, გამგეობისა და საბჭოს წევრნი მოვალენი არიან დაიცვან: საიდუმლო ბანკის ოპერაციებისა და მის ანგარიშებისა და თანამდებობაზედ გამწესებისთანავე იმათ ხელ-წერილი უნდა ჩამოერთვათ, რომ ამ პირობას შეასრულებენ.

133. ბანკის მოხელეთ და საბჭოსა და გამგეობის წევრთ არ შეუძლიანთ არც სესხის აღება ბანკიდან და არც თამასუქების წარდგენა გასანაღდებლად. ამ სახითვე ბანკს არ შეუძლიან მიიღოს გასანაღდებლად ან გადასაგირავებლად იმათ მიერ ხელ-მოწერილი თამასუქი.

ხარჯი ბანკისა, ანგარიში და კონტროლი.

134. ბანკის ხარჯი ბანკის მოგების ანგარიშით უნდა სწარმოებდეს. ამ ხარჯის აღრიცხვა უნდა შეადგინოს ბანკის გამგეობამ და, საბჭოს მიერ განხილვისა და სახელმწიფო კონტროლის დასკვნის შემდეგ, პარლამენტს გადაეცეს დასამტკიცებლად. ამ წესითვე დამტკიცდება დამატებითი ხარჯი, რომელიც წინდაწინვე ვერ იქნა დანახული ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

135. ბანკის საოპერაციო წლიწადი იანგარიშება იანვრის 1 დან დეკემბრის 31-მდე.

136. ბანკის მოკლე ბალანსები (მის ანგარიშთა მდგომარეობა) თითოეულ თვის 1, 8, 16 და 23 რიცხვისათვის უნდა გამოცხადებულ იქნეს ხოლმე საყოველთაო საცნობელად. ამ სახითვე უნდა გამოცხადდეს ბანკის წლიური ანგარიშის ამონაწერი.

137. ბანკის კუთვნილ სახელმწიფოსა და სხვა პროცენტიან ქაღალდების ფასი წლიურ ბალანსებში უნდა იყოს ანუსხული არა იმ ფასზედ მეტად, ვიდრე ნაყიდია. ხოლო თუ საბირჟო ფასი ბალანსის შედგენის დღეს ნასყიდობაზედ ნაკლებია, ღირებულება ქაღალდისა უნდა აღრიცხოს კურსისამებრ.

138. ბანკის გამგეობა შეადგენს წლიურს ანგარიშს და საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, უგზავნის სახელმწიფო კონტროლიორს შესამოწმებლადა და მისის აზრის დასაკმაყოფილებლად საანგარიშო წლის გასულს, არა უგვიანეს პირველ მაისისა.

139. ბანკის ანგარიშების შემოწმება (როგორც უმთავრეს კონტორისა, ისე მის ადგილობრივ დაწესებულებათა) სახელმწიფო კონტროლის მოვალეობაა.

140. კონტროლი ამოწმებს ანგარიშს ადგილობრივ დავთრების განხილვით, ანგარიშებისა და საბუთების გასინჯვით, რათა დარწმუნდეს, რომ ანგარიშში მოხსენებული ხარჯი და ოპერაციები სწორედ და ნამდვილად ეთანხმება ბანკის დავთრებში ჩაწერილსა და იქ აღნიშნულ საბუთებს და აგრეთვე, რომ წესდების მოთხოვნილება არ არის დარღვეული.

141. სახელმწიფო კონტროლი წლიურ ანგარიშის შედგენამდეც ამოწმებს წლის განმავლობაში ბანკის კასას და კასასა და სალაროში დაცულ საფასე-განძეულს. ეს რევიზია ბანკის უმთავრეს კონტორაში სწარმოებს სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ ბანკის საბჭოსაგან ამ საქმისათვის დანიშნულ საბჭოს ორის წევრის თანადასწრებით. ბანკის სხვა დაწესებულებაში ასეთის რევიზიის დროს საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულო არ არის.

142. შედეგი კონტროლის რევიზიისა, როგორც ბანკის უმთავრეს კონტორაში, ისე ადგილობრივ დაწესებულებაში წარმოებულისა, უნდა გაეგზავნოს ბანკის გამგეობას, რომელმაც იმ შედეგის შესახები ყოველი გარემოება ბანკის საბჭოს უნდა მოახსენოს.

143. სახელმწიფო კონტროლიორმა თავისი დასკვნა წლიურ ანგარიშის შესახებ უნდა აუწყოს ბანკის საბჭოს არა უგვიანეს პირველ ივლისისა საანგარიშო წლის შემდეგ.

144. ბანკის ანგარიშს მმართველი ბანკისა წარადგენს პარლამენტში არა უგვიანეს შემდეგ წლის სექტემბრის პირველისა; ანგარიშს დართული უნდა ჰქონდეს: 1) ბანკის საბჭოს მოხსენება თავისის მოქმედებისა და ჟურნალი ანგარიშის მის მიერ განხილვის შესახებ და 2) გამგეობის საპასუხო განმარტებანი საბჭოს დასკვნითურთ სახელმწიფო კონტროლიორის შენიშვნების გამო.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომრის უფროსი ამხანაგი
ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

3 თებერვლის სხდომა

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მინისტრები—ბ-ნნი ხომერიკი, გეგეჭკორი, ლორთქიფანიძე, კანდელაკი, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჭიჭინაძე, ავალიანი, ბახტაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე; დეპარტამენტის დირექტორი—ბ-ნი ჭიჭინაძე; საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დადებულიძე.

—

დადგენილებანი: მთავრობის სახლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის გადათვალიერება და ამავე სახლის ცეცხლისაგან დაზიანებულ ნაწილის შესაკეთებელ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და შეერთება დაევალოს აწ არსებულ კომისიას ინჟ. გურამიშვილის მეთაურობითს

დაევალოს მთავრობის საქმეთა მმართველს. შემდეგი სხდომისათვის, წარუდგინოს მთავრობას ცნობები მთავრობის სახლში დაბინავებულ სამინისტროთა განკარგულებაში გათბობა-განათებისთვის არსებულ კრედიტების შესახებ.

—

ტელეგრაფ-ტელეფონის აპარატების და მასალების სიმცირის გამო, აკრძალულ იქნას რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრებიდან ტელეგრაფ-ტელეფონის აპარატების, მათი ნაწილების, მავთულების და სხვა მასალების გაზიდვა. ამ საგნების მქონე ტეხნიკურ კანტორებს და კერძო პირებს ევალებათ გამოუცხადონ ათი დღის ვადაში, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ხსენებულ კატეგორიის საგნების რაოდენობა, რომელიც მათ აქვთ. ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას და არ გამოაცხადებენ დანიშნულ ვადაში დასახელებულ საგნების შესახებ ცნობას, მიეცემიან პასუხისგებაში.

—

გადაიდოს შინაგან საქ. მინისტრის განკარგულებაში 23,256 მან. 10 მილიონიან ფონდიდან სილნალის გზატკეცილების შესაკეთებლად.

—

მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პროექტი დეკრეტისა კერძო პირებზე იჯარით გაცემულ სახაზინო საიჯარო მამულებზე არსებულ საიჯარო გადასახადის გადიდებისა.

—

გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ბოტანიკურ ბაღის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, სესხათ 100,000 მანეთი 10 მილიონიანი ფონდიდან, იმ პირობით, რომ ხსენებული ფონდი შევსებული იქნება შესაფერი თანხით ხარჯთ-აღრიცხვის კანონმდებლობითი წესით დამტკიცებისათანავე.

—

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგათ დაინიშნოს დავით ეფრემის ძე ონიაშვილი.

—

რკინის გზებისათვის სათადარიგო ნაწილების შესაძენათ ევროპაში კაცის გაგზავნის საჭიროება პრინციპიალურათ მისაღებათ იქმნას მიჩნეული. იმის გამოსარკვევათ, თუ როდის და რა პირობებში იქნება გაგზავნილი კაცი ზემოაღნიშნულ მიზნის განსახორციელებლათ, დაევალოს დაინტერესებულ უწყებათა მეთაურთ.

—

რკინის გზების ელექტროფიკაციის საკითხის შესახებ შესაფერი მასალები გაეგზავნოს ეკონომიურ დელეგაციას და მასვე მიენდოს ხსენებული საკითხის ადგილობრივათ მოგვარება.

—

მოხსენება საინჟინერო და სატეხნიკო ჯარის ნაწილებში სასწავლო მცირე გუნდების დამთავრებულთათვის სამსახურის ვადის 2 წლამდე გადიდების შესახებ მიღებულ იქმნას და დაევალოს სამხედრო მინისტრს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი კანონ პროექტი.

—

სამხედრო უწყებისმო სამსახურეებს გაუდიდეთ ჯამაგირები 25—50% მდე. ამ ფარგლეში მოსამსახურეთა ეხლანდენ ჯამაგირების მომატების განსაზღვრა მიენდოს სამხედრო მინისტრს.

შრომის სამინისტროში

უთანხმოება 1 იანვრის მომატების შესახებ.

ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარის ელბაქიანის მიერ მოწვეულ იქმნა ტფილისის ელექტრონის სადგურების მეპატრონეთა და შეფოლადეთა კავშირის წარმომადგენელთა თათბირი სატარიფო პალატის მიერ მიღებულ 1 იანვ. მომატების გამო. მოხდა შემდეგი შეთანხმება:

შრომის კომისარი მიიღებს ყოველგვარ ზომებს ელექტრონის ძალაზე ახალი ნიხრის შემოსაღებათ. ელექტრონის სადგურების მეპატრონენი 10 თებერვლამდე ეძლევიენ მუშებს იანვრის განსხვავებას. თებერვლის პირველი ნახევარი თვის ჯამაგირი, გარდა მომატებისა, თავის დროზე უნდა მიეცეთ მუშებს, ხოლო თებერვლის მეორე ნახევარ თვის ჯამაგირი და მთელი თვის მომატება კი- მარტის პირველ რიცხვებში, დანიშნულ ვადაზე.

ელექტრონის სადგურების მეპატრონეთა კავშირმა წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს შრომის კომისარს ელექტრონის სადგურების მატერიალიურ მდგომარეობის შესახებ.

სტამბების დათვალიერება.

ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა ექიმთა კომისია დანიშნა ტფილისის ყველა

სტაშების დასათვალიერებლად, რათა გამორკვეულ იქმნას მათში მუშაობის პირობები ჰიგიენის მხრით.

სამრეცხაოების დათვალიერება.

შრომის კომისარის დავალებით ექიმთა კომისიამ დაათვალიერა გლეზერის, ჩახალჩიანის, სარუხანოვის და სხვათა სამრეცხაოები, სადაც ჰიგიენის მხრით რამდენიმე ნაკლულევანება აღმოაჩინა კომისიამ. სამრეცხაოების მეპატრონეთ წინადადება მიეცათ ნაკლულევანებათა წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღონ.

მიწათ.-მოქმ. სამინისტროში

შუამდგომლობა ჰიდრო-ტეხნიკური სადგურის აშენების შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველებს შეუდგენიათ ჰიდრო-ელექტრო ტეხნიკური საზოგადოება „ელვა", რომლის წარმომადგენელმა როსტომაშვილმა შუამდგომლობით მიმართა მიწათ მოქმედების სამინისტროს, რათა ხსენებულ საზოგადოებას ნება დართოს საქართველოში ააგოს ჰიდრო-ელექტრო-ტეხნიკური სადგური. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ეს შუამდგომლობა პრინციპიალურათ შეიწყნარა და მოკლე ხანში შესაფერ მოხსენებას წარადგენს მთავრობაში.

მდინარე ქობალის ნაპირების გამაგრება

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ინჟინერი ჰიდრო-ტეხნიკი გაგზავნა სიღნაღის მაზრაში მდ. ქობალის ნაპირების გასამაგრებლათ მუშაობის საწარმოებლათ. მდ. ქობალი მიედინება სოფ. გორგეთის ხლოს სადაც ალაგირიდან გადმოხვეწილი ქართველები არიან დასახლებული, რომელთაც ხსენებული მდინარე დიდ ზიანს აყენებს.

კულტურულ მამულების მიღება აფხაზეთში.

აფხაზეთში კულტურულ მამულების მისაღებათ უკვე შესდგა კომისიები, რომლები 16 იანვრიდან მუშაობასაც შეუდგნენ. კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის კომისარიატის მიწათმოქმედების განყოფილება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამად იმუშავებს თავისი დაწესებულებათა საშეურნეო ხარჯების დამატებით ხარჯთ-აღრიცხვას 1920 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატები.

საუწყებათაშორისო კომისიამ უკვე განიხილა და დაამტკიცა მიწათ-მოქმედების სამინსტროს შტატები,

---

ქალაქის თვითმართველობაში.

რადგანაც ბოლო დროს ქალაქში გახშირდა ცუდი ხარისხის ღვინით ვაჭრობა, ქალაქის თვითმართველობის საექიმო სანიტარულმა ზედამხედველობამ ტფილისის ყველა დიდი ღვინის საწყობებიდან მოითხოვა ღვინის ქაშნიკები, რათა ქიმიურათ გამორკვეულ იქნეს გასასყიდ ღვინის ღირსება.

— ქალაქის საექიმო-სასანიტარო ზედამხედველობამ მეორე სამილიციო უბანში აღმოაჩინა და განადგურებულ იქნა 210 ფუთი უვარგისი თევზი (კუტუმი).

— ქალაქის თვითმართველობის სასანიტარო კომისიამ აირჩია მცირე კომისია, რომელიც უკვე შეუდგა ქალაქის სასანიტარო ექიმების ინსტრუქციების და ქალაქის საბჭოს სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა გადასინჯვას. ამ მცირე კომისიაში შედის ქალაქის 2 ექიმი და 1 ექიმის თანაშემწე. გადასინჯული ინსტრუქციები და სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის საბჭოს გადაეცემა დასამტკიცებლათ.

სალიკვიდაციო კომისიაში

სალიკვიდაციო კომისიას 1 და 10 თებერვლამდე ჰქონია ორი სხდომა, რომელზედაც მოუსწვრია 8 წარმოების განცხადების განხილვა წარმოების მუშა მოსამსახურეთა შტატების შემცირების, ან სრული ლიკვიდაციის შესახებ.

შემჩნეულია 1 თებერვლიდან კომისიაში უმთავრესად შემოდის ასეთი განცხადებები მატყლეულობის და საქსოვ-სართავი სახელოსნოებიდან.

ეს განცხადება-შუამდგომლობანი შემდეგია:

მატყლეულობის და საქსოვ-სართავი სახელოსნოები:

1) „სტუკენ"-ის და ამხანაგობისა — თხოულობდა 94 კაცის ლიკვიდაციას, შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა;

2) სტანკევიჩისა—თხოულობდა 13 კაცის დათხოვნას—უარი ეთქვა;

3) საზოგადოება „მელუსი"—თხოულობდა 6 მუშა-მოსამსახურიდან 4 დათხოვნას, შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა;

4) პეტროსიანცისა—თხოულობდა სრული შტატის, 4 კაცის დათხოვნას, უარი ეთქვა;

5) შალაჯიანის—თხოულობდა სრული შტატის, 4 კაცის დათხოვნას, უარი ეთქვა;

ღვინის საწყობები:

1) ჩაჩიბაიასი, ჰყავს 9 მუშა-მოსამსახურე, თხოულობდა ხუთი კაცის დათხოვნას, უარი ეთქვა;

2) მაღვალარიასი, ნება მიეცა ორი მუშიდან ერთი დაითხოვოს;

ამკინძველი:

1) შელლერისა—თხოულობდა 25 მუშა-მოსამსახურიდან 13 კაცის დათხოვნას—უარი ეთქვა.

სასკოლო შენიშვნები.

I.

ჩვენი მასწავლებლობა.

ძველ საქართველოსთან ერთად უნდა მოკვდეს ძველი სქოლასტიკური, დახავსებული სკოლა და მის ნანგრევზე ჩაეყაროს საძირკველი განახლებულ, ეროვნულ სკოლას. ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ეროვნული ინტერესები მოითხოვს სწავლა-აღზრდის სისტემის ძირიანად შეცვლას. ძველი სკოლის ცხოვრებიდან ცოტა რამ თუ გამოდგება განახლებულ სკოლისთვის. ძველ სკოლას საგრძნობლად გაასწრო წინ ცხოვრებამ, ის ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს. საერთოდ პედაგოგიური მეცნიერება იმდენათ რთულია, რომ ის ნელის ტემპით, შეუმჩნევლად ვითარდება, მაგრამ ვაი იმ სკოლას და იმ ქვეყნის მოზარდ თაობას, სადაც პედაგოგიური პროგრესი შეუმჩნევლად რჩება, ზეგავლენას ვერ ახდენს სკოლაზე. ცხადია, ჯერ ჩვენთვის ძნელია ევროპის დონემდე სკოლის ამაღლება; შეუძლებელიც არის ერთბაშად სწავლა-აღზრდის სისტემის შეცვლა, სკოლის ცხოვრების ძირიანად გარდაქმნა. სკოლის გადახალისებისათვის რამოდენიმე წლებია საჭირო, მაგრამ მაინც გაორკეცებულის ენერგიით უნდა მივისწრაფოდეთ მომავალი, თავისუფალი სკოლისაკენ, რომელიც დამყარებულ იქნება სად თანამედროვე, განვითარებულ პედაგოგიურ პრინციპებზე.

მთელი ჩვენი ყურადღება, შემოქმედებითი ნიჭი მარტო პოლიტიკამ არ უნდა ჩაყლაპოს, რადგანაც პოლიტიკურ სიმაგრესთან ერთად საჭიროა აგრეთვე აკადემიური საქმიანობა; საჭიროა უფრო მეტად ვიზრუნოთ ჩვენი მოზარდის განვითარებისათვის, რომელზედაც მომავალში დამყარებულია ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბალი. მომავალი თაობის ნაყოფიერება კი სავსებით დამოკიდებულია სკოლაზე, მის სწავლა-აღზრდაზე: პირველი უკანასკნელის შინაარს შეიცავს. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში, არაფერი კეთდებოდეს,—როგორ არა კეთდება, განათლების სამინისტრომ რამდენი საუკეთესო რეორგანიზაცია მოახდინა სკოლის ცხოვრებაში: შემუშავდა რამდენიმე ახალი ტიპის სასწავლებელი, შეიცვალა ძველი სკოლის უსიცოცხლო პროგრამა, რომელიც სრულიად არ ეგუებოდა ჩვენ ეროვნულ მოთხოვნილებებს, დღითი დღე მატულობს ეროვნული საგნების შესასწავლად მეთოდიური სახელმძღვანელოები და სხვა, ერთი სიტყვით, ჩვენი სკოლა დღეს რეფორმაციის ხანას განიცდის, მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ მარტო სისტემის შეცვლა, გეგმები ვერას მოგვცემს თუ ის სკოლაში—ცხოვრებაში არ იქნა გატარებული, განხორციელებული.

ვის ევალება, ვინ უნდა იკისროს სკოლის რეფორმატორობა თუ არა მასწავლებელმა, დიახ, მასწავლებელი ითვლება სამართლიანად სკოლის სულის ჩამდგმელად, მის სასიცოცხლო ელემენტად. როგორი ცვლილებაც არ უნდა მოვახდინოთ ზევიდან სკოლის ცხოვრებაში, როგორი სასკოლო სისტემაც არ უნდა შემოვიღოთ უმასწავლებლოთ ის მაინც ვერ შეისხამს ხორცს და უნდა აშკარად ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი სკოლის მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო თუ სანუგეშო: არ გვყავს კარგი მასწავლებლობა; მათი უმეტესობა ვერ სდგას ჯეროვან სიმაღლეზე; გვარიან მასწავლებელთა რიცხვიც კი ისეთი მცირეა, რომ ის ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. და ამისათვის ძალიან ხშირად იძულებული ვართ უღირს მასწავლებლებს ჩავაბაროთ სკოლის

საქართველოს კონსტიტუციისთვის.

ამნაირათ ნაციონალურ კრებას შეუძლია კონსტიტუცია შეცვალოს, გადაშინჯოს, მიუმატოს, მოაკლოს. მაგრამ მას არ შეუძლია შეცვალოს თვით მართვა-გამგეობის ფორმა, არ შეუძლია რესპუბლიკა გააუქმოს და მონარქია შემოიღოს. რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობა სწყვეტს საკითხს და შეიარაღებული და გამარჯვებული ძალით ყოველი კონსტიტუციის დაშლა შეიძლება. მაგრამ თავისთავად კონსტიტუცია, უფლებრივი ცხოვრება, უფლებრივი ტრადიცია, კონსტიტუციურ ფარგლებში გამოკვეთილი, რომლისთვისაც მუდამ მზად არის სახელმწიფო იბრძოლოს, დიდს ძალას წარმოადგენს და უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის და მისი ხანგრძლივობის.

შვეიცარიის, ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები პირდაპირ არ აღიარებენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა მუდმივი და უცვლელია. მაგრამ როცა კონსტიტუცია ბრძანებს, რომ კონფედერაცია (იხ. შვეიცარიის კონსტ. მე-6 მუხლი), კავშირი (იხ. შეერთ. შტატების კონსტ. სტ. IV. განყოფ. 4). თუ სხვა რომელიმე დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი ორგანო მხოლოდ რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ მართვა-გამგეობის ფორმას იცავს და უზრუნველჰყოფს კონსტიტუციურათ, ცხადია მათი დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წყობილების სახე არსებითად უცვლელი და მუდმივია. შვეიცარიის არც ერთს კანტონს არ აქვს ნება ძირითადი კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკა-დემოკრატიული თუ წარმომადგენლობითი,—შეცვალოს და მონარქიული ან არისტოკრატიული წყობილება შემოიღოს.

მონარქიული კონსტიტუციები აღიარებენ ხოლმე მთავარი მონარქიული პრინციპის ხელშეუხებლობას, მის ასე ვთქვათ „სიწმინდეს" და მუდმივობას. თუ ეს ასეა, დღეს, როცა ბრძოლა სრული დემოკრატიზაციისთვის ყველგან გრძელდება, დემოკრატიამ უფრო მეტის უფლებით უნდა მოითხოვოს თავის დემოკრატიული პრინციპის ხელშეუხებლობა, მუდმივობა და ამის კონსტიტუციაში აღნიშვნით ხალხის სახელმწიფოებრივ თავისუფლებას და უფლება მოსილებას მტკიცე გარანტია მისცეს და უფლებრივი საფუძველი ჩაუყაროს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად-ერთი ნამდვილი და მაღალი ფორმაა ხალხური მართველობის, შეთანხმებული ხალხის ინტერესებთან და მის ცხოველმყოფელ სახელმწიფოებრივ ნებისყოფასთან. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური სუვერენიტეტი მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნახულობს თავის ბუნებრივ გამოხატულებას. პროფ. ესმენი პირდაპირ ამბობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს ხალხის სუვერენიტეტის ბუნებრივს და სრულს განხორციელებას. რადგანაც აქ ამ შემთხვევაში ყველა ხელისუფლებას, პირდაპირ თუ არაპირდაპირი თვით ერი, ნაცია ანდობს და ანდობს მხოლოთ დროებით, ნაციონალურ სუვერენიტეტს რჩება თავისი მუდმივი აქტივობა და პერიოდულათ იჩენს თავს სინამდვილეში (იხ. „საკონსტიტუციო უფლება", რუს. გვ. 138).

ამიტომ სუვერენულ ერს, რომელიც ისტორიის წინაშე გამოდის და მოქმედებს მომავალ თაობათა სახელით, შეუძლია ერთხელ და სამუდამოთ აღიაროს სახელმწიფოებრივი წყობილების განსაზღვრული ფორმა—სახელდობრ დემოკრატიული რესპუბლიკა. მას ნება აქვს, ეს აუცილებელიცაა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, რომ თავის სუვერენული, აბსოლუტური უფლების ძალით რესპუბლიკანურ—დემოკრატიულ მართვა-გამგეობის უცვლელობის და მუდმივობის ძირითადი პრინციპი კონსტიტუციით გამოაცხადოს და ყველა წარმოშობილი ხელისუფლების სავალდებულოთ და სახელმძღვანელოთ. ჩვენი ხალხი ამ დებულების შეტანით კონსტიტუციაში უფრო დამშვიდებული, გაფრთხილებული და უზრუნველყოფილი იქნება.

რაც შეეხება თვით დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც პოლიტიკურ წყობილების ფორმას ჩვენ იგი მიგვაჩნია „ერთადერთ ხალხური პოლიტიკური წყობილების ფორმად" არა მარტო დღევანდელი პირობებისათვის, როცა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი და განუვითარებელია ცხოვრება, არამედ მომავლისათვისაც, როცა შრომის სამეფო დამყარდება და საზოგადოების ურთიერთობის სოციალისტური გარდაქმნა განხორციელდება. დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმაა, რომელშიაც სავსებით მოთავსდება საზოგადოების სოციალისტური შინაარსი. ამ მხრით პროლეტარიატის პოლიტიკური იდეალი დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამავე აზრით ამბობს ცნობილი სოციოლოგი-მარქსისტი კაუცკი: „ჩვენ უკვე მიტომ ვართ რესპუბლიკელები, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ერთადერთი პოლიტიკური ფორმაა, რომელიც ეთვისება სოციალიზმს".

არ გვავიწყდება ყველა ის უარყოფითი მხარე, რომელიც ახასიათებს თანამედროვე დემოკრატიულ რესპუბლიკათა საზოგადოებრივ ცხოვრებას. კარგათ ვიცით, რომ თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა კიდევ შორს არის სოციალური რესპუბლიკის ბატონობისაგან; იგი პირველ ყოვლისა ხალხის პოლიტიკური ბატონობის ფორმაა, რომელიც ელის სოციალურ შინაარსს. დღეს რესპუბლიკაში შეუძლო კლასებს ლუკმა-პურისთვის უხდებათ საშინელი ბრძოლა, ჯერ კიდევ ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის პრინციპი ბატონობს. მაგრამ აქ თითონ დემოკრატიული რესპუბლიკა საუკეთესო პოლიტიკური წყობილებაა, რომელიც ყოველნაირად ხელს უწყობს ეკონომიურ სამართლიანობის დამყარებას და ხალხის სოციალისტური კულტურის შეთვისებას და განვითარებას. რესპუბლიკანური წყობილების პოლიტიკური ფორმა საუკეთესო კალაპოტია მუშათა მოძრაობის მიზნების განხორციელებისათვის. ამ მოძრაობის საბოლოო გამარჯვება არა თუ გააუქმებს სახელმწიფოს რესპუბლიკანურ ფორმას, არამედ უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს მას. პროფ. ანტონ მეიერი სწერს „როცა სახალხო მუშური სახელმწიფო გაათანასწორებს მასების პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს, მხოლოდ მაშინ მოისპობა საბოლოოდ ყოველივე საფრთხე სახელმწიფოს რესპუბლიკანური ფორმისთვის". (Новое ученіе о государствѣ გვ. 182)

ამ შეხედულებას დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უარჰყოფს ბოლშევიზმი, რომელიც უპირდაპირებს მას საბჭოთა რესპუბლიკას. ლენინი თავის ისტორიულ „თეზისებში" აღიარებს, რომ რუსეთმა უკვე გადალახა ფორმა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და აღიარა პროლეტარიატისთვის ერთადერთი მისაღები ფორმა—პროლეტარული დიქტატურის გამომხატველი, საბჭოებს მართვა-გამგეობა. ლუნაჩარსკი სწერს ბოლშევიკურ ხიშტით გარეკილ რუსეთის დამფუძნებელ კრების შესახებ: იგი მოკვდა, როგორც უკანასკნელი მემკვიდრეობა დემოკრატიული რესპუბლიკის, რომელსაც რუსეთმა უკვე გადააბიჯა". ამ გზას უნდა გაჰყვეს ყველა ქვეყნის მუშა ხალხი. არა დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ, არა დემოკრატიული რესპუბლიკით მომავლისაკენ, არამედ დემოკრატიის უარყოფა და დიქტატურის გამოცხადება საბჭოების სახით—აი ბოლშევიზმის მთელი პოლიტიკური სიბრძნე-სიცრუე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკური საბჭოთა რესპუბლიკა არ წარმოადგენს სოციალიზმის და კომუნიზმის უზრუნველყოფას. რუსეთის სოვდეპიის მაგალითი ააშკარავებს, რომ ყოველი „დიქტატურა" არ არის პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც უსათუოდ გულისხმობს ხალხის დიდი უმრავლესობის მიმხრობას და მისი ბრძანებლობის და დემოკრატიის ფორმების გამტკიცებას. ბოლშევიზმის ბატონობა აიხსნება რუსეთის განსაკუთრებული პირობებით. მის ხანგრძლივობას ხელს უწყობს გარეშე ძალთა ჩარევა და ომის წარმოება, რომელიც აკავშირებს და ერთი დროშის ქვეშ აყენებს ყველა რევოლუციონურ ძალებს. გარეშე საფრთხის მოძრაობასთან ერთად ბოლშევიზმი უნდა შეუდგეს შინაურ შემოქმედებას და აი ის ამ ნიადაგზე ან დაიღუპება კატასტროფიულად ან და ნელი და შეუჩერებელი ევოლიუციით მივა დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობამდე დემოკრატიის აღიარებამდე. ე. ი. მიიღებს იმას, რასაც უარყოფდა და უარყოფს იმას, რაც შეადგენდა მის არსებობას და თავისებურობას.

დემოკრატიულ რესპუბლიკას ვერც ერთი წინმავალი ერი ვერ უარყოფს; დემოკრატიის გარეშე, დემოკრატიის წინააღმდეგ სოციალიზმს ვერ დაამკვიდრებს ვერც ერთი სახელმწიფო, რაგინდ განვითარებული იყოს იგი, როგორც გერმანია, ან რა გინდ განუვითარებელი იყოს იგი როგორც რუსეთია დღეს.

ბ. ხაყვარელიძე.

(გაგრძელება იქნება).

ზედი, რადგანადაც ვამბობთ „სულ არარაობას ცალ-ფეხილა ხარი სჯობია“, მაგრამ რამდენათ მართალია ეს ხალხური სიბრძნე მოზარდის სწავლა-აღზრდის საქმეში ეს კიდევ საკითხია. რაც შეეხება ცოტათ თუ ბევრად კარგ მასწავლებლებს, ისინიც კი გაურბიან სკოლას, უფრო უკეთეს კარიერას ეძებენ, თბილ ადგილისაკენ მიისწრაფიან, ქალაქში მოიშურებიან, პროვინცია ღვთის ანაბარად რჩება მაშინ, როდესაც სოფლები, პერიფერიები უფრო საჭიროებენ განათლების ლამპარს, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცებას.

მასწავლებელი რომ მოუმზადებელია ის თვითონ არაფერ შუაშია, დამნაშავეა ჩვენი სკოლის მიერ განვლილი გზა და სხვა ათას გვარი დამაბრკოლებელი პირობები, რომელიც წინ ელობებოდა განსაკუთრებით ჩვენში სწავლა-აღზრდის საქმეს. ჩვენში არსებული ორი სამასწავლო სემენარია, ჯერ ერთი ვერ იძლეოდა შესაფერ ცოდნას, და მეორე ამზადებდა საჭირო მასწავლებელთა კონტიგენტს და რა უნდა მოეთხოვოს მას, ვისთვისაც არაფერი მიგვიცია, ან სულ ცოტა. აი, სწორედ დღეს, სკოლის განახლების დროს მასწავლებელს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, არც ფული, არც საქმიანობა არ უნდა დავზოგოთ, რომ ჩვენი მასწავლებლობა აღვამაღლოთ, რომ მან რაოდენიმეთ მაინც შესძლოს ნაკისრ მძიმე მოვალეობის ასრულება. ამ მიზნისთვის არ კმარა სიცხიან დღეებში ტფილისში სასწავლო წლის ბოლოს დაქანცულ მასწავლებელთათვის ორ თვიანი საზაფხულო პედაგოგიური კურსები. საჭიროა უფრო რადიკალური საშუალებანი, თუ არ ვცდებით, განათლების სამინისტროს აზრად აქვს 6-თვიანი პედაგოგიური კურსების მოწყობა; ფრიად მოსაწონია და უფრო უკეთესი იქნება კიდევ, რომ ეს კურსები ერთ წლიანიც იქნებოდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია კიდევ საპედაგოგიო ინსტიტუტის დაარსება; ასეთი სასწავლებელი სწორედ მისწრება არის ჩვენი განახლებული სკოლისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ხსენებული სასწავლებელი ვერ სდგას ნორმალურ კალაპოტში. ძალიან მცირეა ახლად დაარსებულ ინსტიტუტის მსმენელთა რიცხვი, რაც აიხსნება უმეტესად იმ გარემოებით, რომ დღევანდელ აუტანელ პირობებში ტფილისში ცხოვრება მეტად ძნელია უჯამაგიროთ; მაცადინეობა და 7—8 საათი დღეში ლუკმა პურისთვის მუშაობა ერთად კი ძალიან ძნელია.

უწინაც ასეთ სპეციალურ სასწავლებელში არსებობდა სტიპენდიები, და ეხლაც მიუხედავათ ჩვენი უნუგეშო ფინანსიური მდგომარეობისა სასურველია და საჭირო ინსტიტუტის მსმენელებს სტიპენდიის სახით დახმარება მიეცეთ.

გრ. ხ—ელი.

სხვა და სხვა

◆ თანახმად სასურსათო განყოფილების სტატისტიკურ ცნობების, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეების განმავლობაში მას გამოუცხვია და დაურიგებია 57,550 ფუთი პური, 2,505 ფუთი მჭადი, 16,912 ფუთი დანარჩენი სურსათი, 4.500 ფუთი ფურაჟი—სულ 12.558.055 მან. აქედან ქალაქის დაწესებულებებს და წარმოებებს მიუღიათ 38,8% დანარჩენი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და მათ მოსამსახურეთ 34,5%, ქალაქის მოსახლეობას 26,7%. სასურსათო განყოფილება ქალაქის გამგეობისა.

◆ სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლობა ტფილისში ხსნის ქურთ-იეზიდების ობოლ-ბავშვთა თავშესაფარს.

◆ სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში დ. დავითხანიანი ერევანში გაემგზავრა.

◆ სომეხთა კომიტეტი ჩრდილო კავკასიის წითელ ჯვართან გაუქმდა. კომიტეტის წარმომადგენლობა ტფილისში ჩამოვიდა სომხეთში გასამგზავრებლად.

◆ ტფილისის საოლქო სასამართლომ დაამტკიცა საქართველოს მწარმოებელი კოოპერატივი „ძმობა“.

კოოპერატივის დამაარსებელთ მიზნათ დაუსახავთ საქართველოში ხელი შეუწყონ ტყავეულობის დამუშავებას და ფეხსაცმელების შეკერვასა და გავრცელებას. კოოპერატივის დამაარსებელნი არიან მეჩექმეები და ტყავეულობის საქმის მცოდნე პირნი.

◆ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო გუდაუთიდან: „გუდაუთის სამაზრო ერობის კრილობა პირველად შეკრებილი საქ. დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მოძმედ მიესალმოს მთავრობას ოქვენი სახით იმ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენის გამო, რესპუბლიკის აყვავებისა და განვითარებისათვის.

◆ ნაფიც ვექილთა პრეზიდიუმი იღებს მთხოვნელებს ოთხშაბათობით 2—3 საათამდის და შაბათობით 12—1 საათამდის. ცნობების მიღება ყოველ დღე 11—1 საათამდის.

◆ ნაფიც ვექილთა საბჭო ამით აცნობებს ნაფიც ვექილთა თანაშემწეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან 10 მარტამდის შემოიტანონ განცხადებანი საბჭოში ნაფიც ვექილის თანაშემწეთ ჩარიცხვის შესახებ, სათანადო საბუთებით.

◆ ქალაქის მოურავის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ „პოლონელთა“, „სამხატვრო წრის“ და „ვაჭარ-მრეწველთა“ კლუბებში აკრძალულ ქაღალდის თამაშობის ხელმძღვანელნი და მეკარეები, რომლებიც ქალაქის მოურავს არ უშვებდენ კლუბში, სადაც ის მივიდა დასათვალიერებლათ.

◆ საქართველოს ნაფიც ვექილთა პირველი ყრილობა ესალმება საქართველოს მთავრობას, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს და განახორციელოს დემოკრატიული და უფლებრივი ნორმები და უზრუნველჰყოს მოქალაქეთა უფლებები. ყრილობა და მისი მუდმივი ორგანო, ორგანოს საბჭო თავის მხრით, თავის წმინდა მოვალეობათა სთვლის, ხელი შეუწყოს სახელმწიფოში პირუთვნელი და მიუდგომელი სამართლის და კანონის დაცვაში. ჩვენც მთავრობასთან ვართ. გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას.

◆ დაიბეჭდა და იყიდება საკუთარ მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9. სასტუმრო ორიანტის ქვეშ) წ. კ. გამ. საზ. გამოცემანი: 1, რუსული ენის გრამატიკა—პროფ. ე. ახვლედიანის, ფასი 15 მან. 2. „ინგლისის მოკლე ისტორია“. გ. ნათაძის, ფასი 31 მან. 3. ნ. ბარათაშვილი და მისი დრო—რ. ხომლელის—ფასი 21 მან.

თემთა წარმომადგენელთა თათბირი.

10 თებერვალს ტფილისში ეროკავშირის ბინაზე გაიხსნა საქართველოს თემთა წარმომადგენლების და ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის შეერთებული თათბირი. პ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით. ყველა მაზრიდან არის თითო თემის წარმომადგენელი. პირველ რიგში გასარჩევია მოხსენებები ადგილებიდან; შორაპნის მაზრის ზესტაფონის თემის წარმომადგენელი სულაქველიძე ამბობს: თემი ჩვენში მოეწყო არსებულ საზოგადოებათა ფარგლებში. თემებში მუშაობა დაიწყო წარსული წლის დეკემბრიდან, გამგეობა ყველგან 3 კაცისაგან შესდგება. აქედან მხოლოდ თავმჯდომარე და მის მოადგილე იღებენ ჯამაგირს. სოფლებისათვის ჩვენ დავტოვეთ ასისთავების და ოცისთავების თანამდებობანი. სოფლის კომისართა თანამდებობა გაუქმებულია. სოფლებში მუშაობს საგზაო, სასოფლო და სხვ. კომისიები. მთავარი ყურადღება ექცევა გზების გაკეთებას და შეკეთებას ამ მხრივ ნატურალი ბეგარა ხალხმა სავსებით მიიღო და ბევრი რამ კეთდება. არა ნაკლები ყურადღება აქვს მიპყრობილი სკოლებს. აღსანიშნავია ის, რომ ხალხს გამოაქვს დადგენილებები სკოლების დაარსების შესახებ თანხის გაღების შესახებ, როგორც ახალი სკოლის შენების, ისე არსებული შენობების შესაკეთებლათ. რაც შეეხება თემის და სამაზრო ერობის ურთიერთობას, ჯერ-ჯერობით არ არის გამწვავებული, მაგრამ თუ არ იქნა გამორკვეული თემის უფლებრივი მდგომარეობა ეს გამწვავება აუცილებლათ მოხდება. დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე სასურსათო საკითხი. ზოგიერთმა თემებმა აკრძალეს სურსათ-სანოვაგის გაზიდვა თემის საზღვრებიდან გარეთ. თემს არმოეპოება არავითარი ბიუჯეტი. არც სახელმწიფო და არც სამაზრო გადასახადებიდან თემი არაფერს ღებულობს. თემი სცხოვრობს, მხოლოდ სავაჭრო ოპერაციების საშუალებით. თემს განზრახული აქვს ბაღების, ბოსტნების და სხ. მოწყობა, მაგრამ არც მთავრობისაგან და არც სამაზრო ერობისაგან დახმარებას არ პოულობს. რაც შეეხება მოსამართლეებთან დამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სადაო-ხდება „აპეკუნობის“ საქმე. მცირე წლოვანთა „ოპეკუნების“ არჩევის უფლება სოფლის კრებულს ეკუთვნის, მაგრამ ამ საქმეში ერევა მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც ხშირად საქმეს სწყვეტს სოფლის და მცირე წლოვანთა ინტერესების წინააღმდეგ. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. თემის მომავალი ორგანიზაციის შესახებ მომხსენებელი ამბობს თემის ტერიტორია არ უნდა იყოს ისე დიდი, როგორც ტფილისის მაზრაშია და არც ისე პატარა, როგორც სხვაგან. საშუალო რადიუსი თემისა არ უნდა იყოს 10 ვერსტზე მეტი და მცხოვრებთა რიცხვი 2,000—3000 მეტი. თემის და სამაზრო ერობის ურთიერთ დამოკიდებულება ისეთი უნდა იყოს, როგორც, იყო დამოკიდებულება რუსეთში სამაზრო და საგუბერნიო ერობათა დამოკიდებულება. თემის მოქმედების კანტროლი, წარმომადგენია, როგორც ზედამხედველობა კანონების შესრულების საქმეში. საბიუჯეტო უფლება უნდა ქონდეს თემს სამაზრო ერობა კი %% უნდა იღებდეს თემის ხარჯებიდან და გადასახადებიდან.

თელავის მაზრის თემის წარმომადგენელი ჩინიჯიშვილი: ჩვენში თემები მოეწყო მხოლოდ წირსული წლის აგვისტოში. არჩევნებს ხელმძღვანელობდა 4 ინსტრუქტორი. ეს ინსტრუქტორები შემდეგ ხელმძღვანელობდნენ ბუხჰალტერიას და საქმის წარმოების ჯეროვან დონეზე დაყენებას. თემმა მოქმედება დაიწყო სამაზრო ერობის ინსტრუქციის თანახმად. თემის მოქმედებას კანტროლს და ხელმძღვანელობას უწევს სამაზრო ერობა. ამის გამო ყველა ოქმები თემისა ეგზავნება სამაზ ერობას და თუ ორი კვირის განმავლობაში სამაზრო ერობამ პროტესტი არ განაცხადა, მაშინ თემის დადგენილება ძალაში შედის.

თემის საბიუჯეტო უფლება არ არ გამორკვეული. სამაზრო ერობის დასტურით თემი გადასახადებს იღებდა საკლავ საქონლის გაყიდვაზე, საზოგადო სასწორებზე (იარმუკაზე) უძრავ ქონების ნასყიდობაზე, გარდა ამისა სამაზრო ერობამ დაუთმო თემს ზოგიერთი თავისი შემოსავალი ჯოგებიდან. თემის მოქმედებას არ ზღუდავს სამაზრო ერობა. თემის და სამაზრო ერობის დამოკიდებულება ხშირად მწვავდებოდა, მაგრამ ეს გამწვავება უმეტესად გაუგებრობაზე იყო აშენებული. თემები დიდ ტეხნიკურ დახმარებას უწევდენ სამაზრო ერობას. თემი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლის საქმეს. ყველა დადგენილებები ამ მხრივ თემის გამგეობისა ცხოვრებაში ტარდებოდა. გზების შეკეთებას თემი დიდ ყურადღებას აქცევდა. ხალხი ერთსულოვნად ღებულობს მონაწილეობას გზების შეკეთებაში. სურსათის მხრივ ჩვენში საქმე უკეთესადაა, ვინემ სხვა მაზრებში. თითქმის ყველა თემში უნდა მოეწყოს სასურსათო მაღაზიები, საიდანაც მცხოვრებო უნდა მიეცეს სათესლე. თემი სასამართლოს საქმეებში არ ერევა.

მედიკო სანიტრული ნაწილისათვის თემი არაფერს ხარჯავს, მხოლოდ ტეხნიკურად ხელს უწყობს ამ მხრივ სამაზრო ერობის მუშაობას. თემების ფინანსიური მდგომარეობა უმწეოა. საჭიროა მთავრობამ თემებს მისცეს სათანადო თანხა.

თემის ტერიტორიის საშუალო რადიუსი უდრის 7-8 ვერსტს. ხშირად ერთი დიდი სოფელი შეადგენს თემს. ღვდლებთან დამოკიდებულება მცხოვრებლებისა გამწვავებულია. ერთ თემში საქმე, იქამდე მივიდა, რომ სასულიერო პირს ეკლესიის გასაღები წაართვეს. თელავის მაზრაში სულ 13 თემია. თემის გასაჭირის დროს მხედველობაში იყო მიღებული ეკონომიური მოტივები. რამოდენიმე სოფლებს აქვთ საერთო საბალახო, მიწა და სხვ. და მათი დანაწილება არ არის სასურველი.

(შემდეგი იქნება).

ხელოვნება

უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მოწვეული იყო საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრენ: დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წარმომადგენელი ბ. გ. ქიქოძე, სახ. განათ. სამინ. წარმომად. ბ. ვ. ბერიძე, სახ. უნივ. წარმომად. პროფესორი ბ. ი. ჯავახიშვილი, საქ. ცენტრ. კოოპერ. კავშ. წარმომადგენელი ბ. ვ. ემუხვარი, ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და სამუსიკო კოლეგია.

კრება გაიხსნა ბ. კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგი: უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსება საქართველოში.

ბ. კ. ანდრონიკაშვილმა გააცნო კრებას საქმის ვითარება და აღნიშნა საჭიროება უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსებისა და გამოსთქვა აგრეთვე სურვილი, რათა შეერთებულის ძალებით ყოფილ რუსულ კონსერვატორიის და ქართულ სამუსიკო სკოლისა, დაარსდეს უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

მომხსენებელი არიან: ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი.

ზ. ფალიაშვილის აზრით რუსული კონსერვატორია ქართულ სახელმწიფო კონსერვატორიად უნდა გადაკეთდეს.

დ. არაყიშვილის მოხსენებით კი ქართული სამუსიკო სკოლა უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: დაარსდეს ქართული კონსერვატორია, არსებულ რუსულ კონსერვატორიის და ქართულ სამუსიკო კოლეგიის პროფესორთა შეერთებული ძალების ხელმძღვანელობით.

ქართული სკოლა უნდა გადაკეთდეს დასაწყის და საშუალო სამუსიკო სასწავლებლად.

უმაღლესი კურსი კი იყოს კონსერვატორიაში.

ორივე სამუსიკო სასწავლებლები, როგორც უმაღლესი ისე საშუალო გამოცხადდეს სახელმწიფოდ.

ეთხოვოს განათლების მინისტრს, რაც შეიძლება მალე მიიღოს ყოველი ღონის-ძიება ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

დახმარება მსახიობ გ. იმნელის ოჯახს.

ხელოვნების კომისიაში აღიძრა საკითხი გარდაცვალებულ მსახიობ გ. იმნელის ოჯახისთვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სტადიონი.

ხელოვნების კომისიამ შეიმუშავა ვაკეში სტადიონის მოწყობის ხარჯთ-აღრიცხვა და საიმისო მუშაობის გეგმა. სტადიონმა 140,000 კაცი უნდა დაიტიოს. ეს სტადიონი უდიდესი იქნება მთელ მსოფლიოში. სტადიონის მოწყობა საერთოთ დაჯდება დაახლოვებით 16 მილიონი მანეთი. განზრახულია სამუშაოებზე მოქალაქენიც იქნენ მოწვეულნი მოხალისეთ. ამ დღეებში გამოცხადდება დღე, როდესაც სტადიონის გარშემო ხეები დაირგვება.

განცხადებანი

დანიელ გრიგოლის ძე რუსტამოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 517, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 230 3—3

ნინო ჩიგოგიძე აცხადებს, რომ მან 14 იანვარს დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 2276 რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 231 3—3

ყოფილი მილიციელი არტაშეს ზაქარიას ძე ჯილავდაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფილ. ქალაქის მილიციის უფროსისგან 1919 წელს, № 1005. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 209 3—3

სალე მელქონის ძე ზუზაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. სეზანოს კომისარიატიდან, № 2. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 237 3-2

სტუდენტი ს. ქარცივაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 6, აღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 238 3—2

დაკარგული რკ. გზ. ზედნადები (ნაკლადნაია) № № 26241, 26263 ქუთაისი—ტფილისი, გაუქმებულათ ითვლება. ი. ა. ფრეიმანი. 226 3—2

დაკარგული ზედნადები (ნაკლადნაია) № 27768, ბაქო—ფოთი, გაუქმებულათ ითვლება. დ. ს. ბერკოვიჩი. 227 3—2

ტატიანე მიხეილის ასული კრუგლეკოვა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 3020 რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 234 3-2

დაკარგულია კ. ნიკოლაშვილის სახელმწიფო ფონდის წიგნაკი № 855, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 221 3—3

ლიუდმილა ივანეს ასული სლიპკა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ქალაქის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 225 3—3

გვარდიელი ნიკოლოზ გეორგის ძე საგანელიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა თოფის („ვინტოვკის“) № 235621 ტარების ნებართვა აღებული 1 ჯუნის შტაბში. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 235 3—1

სტამბა საქართველოს რესპუბლიკის. რედაქტორის მოვალ. ედმ. გრიგოლ მაჭავარიანი